პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №8

ქ. თბილისი
28.05.2019

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

თამარ ქიტიაშვილი - გაეროს განვითარების პროგრამის მრჩეველი პროფესიული განათლების საკითხებში, საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე);
ლელა მაისურაძე - პროფესიული განათლების დამოუკიდებელი კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
თამარ კაკუტია - სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის პროფესიული ტესტირების კოორდინატორი;
ნინო ჩიქოვანი - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი;
ვახტანგ ჭარაია - ა(ა)იპ - საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი;
გიორგი ტრაპაიძე - სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" ადამიანური რესურსების მართვის დეპარატმენტის უფროსი;
ანა საბახტარიშვილი - ა(ა)იპ - ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;
ანასტასია ქიტიაშვილი - სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდის საქართველოს (MCA – Georgia) პროექტის ,,პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის" პროფესიული განათლების ექსპერტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

კახაბერ ერაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი;
ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაცია-აკრედიტაციის საბჭოების კოორდინაციის სპეციალისტი;
ელისო ბარბაქაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაცია-აკრედიტაციის ვიზიტების უზრუნველყოფის სპეციალისტი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯი:
ილია მატიაშვილი - დამფუძნებელი;

თამარ აბულაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა:
ვასილ კიკნაძე - დირექტორი

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:
ნინო ლომიძე - აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
აკაკი გუნცაძე - აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ფაკულტეტის მენეჯერი;
ნუგზარ მიქაძე - დიდი ჯიხაიშის ნ. ნიკოლაძის სახელობის კოლეჯის დირექტორი;
იაკობ მანჯგალაძე - დიდი ჯიხაიშის ნ. ნიკოლაძის სახელობის კოლეჯის დირექტორის მოადგილე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციული ტექნოლოგიის მხარდაჭერა" ხელმძღვანელი;
ჯემალ კახაძე - დიდი ჯიხაიშის ნ. ნიკოლაძის სახელობის კოლეჯის მენეჯერი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა" ხელმძღვანელი;
იური კოხრეიძე - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა" ხელმძღვანელი;
რომან ბელთაძე - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მევენახეობა" ხელმძღვანელი;
ეკატერინე ნარეშელაშვილი - მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფის უფროსი;
თამარ აფციაური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი:
თეონა ხუფენია - რექტორი;
მანანა სამუშია - პროფესიული განათლების სამსახურის უფროსი.

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი":
მალხაზ ასლამაზაშვილი - დირექტორი;
დავით პაპაშვილი - ხარისიხის მართვის მენეჯრი.

ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი ,,კონსტრუქტ2":
თამარ ზაქარაშვილი - დირექტორი;
თამთა კვინიკაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი;
მარიამ სხილაძე - ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ქეთევან ბოტკოველი;
თამარ ახალაძე;
შორენა ხუბუნაია;
ნინო ამირანაშვილი;
ქეთევან გელაშვილი;
თეა ლილუაშვილი;
მიხეილ სამხარაძე;
ხათუნა მაისაია.

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:00 საათზე.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა, ლანა გაჩეჩილაძემ განაცხადა, რომ თუ დამსწრე საზოგადოება წინააღმდეგი არ იქნებოდა საბჭოს სხდომის ოქმის პროექტის მოსამზადებლად მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩანაწერის მომზადება და ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,ოპიზარისთვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის №177 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
2. შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 დეკემბრის №218 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
3. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეასთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 დეკემბრის №185 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
4. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა
5. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა
6. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „აისისთვის" საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა
7. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ "აისის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის N26 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ
8. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი ,,კონსტრუქტ2"-ის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა წარმოდგენილი არ იქნა, შესაბამისად საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ საბჭომ წინა სხდომებზე განიხილა მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების ცვლილების საკითხები სხვადასხვა დაწესებულებისათვის და მიიღო გადაწყვეტილება, რომ გადაწყვეტილების ამოქმედება გადავადებულიყო მინისტრის მიერ შესაბამისი მოკლე ციკლის პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვის წესის შესახებ აქტის გამოცემის თარიღამდე. შესაბამისად, დაწესებულებას შეეზღუდა მინიჭებული უფლებამოსილების რეალიზების შესაძლებლობა. მოკლე

ციკლის პროგრამების დამატების საკითხი საერთოდ არ იქნა განხილული და გადავადდა საკითხის განხილვა შესაბამისი წესის ამოქმედებამდე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განხილვების შემდგომ, ცენტრის დირექტორმა 16 აპრილს გამოსცა №273, №274 და №275 ბრძანებები და ყველა ჩარჩო დოკუმენტში, რომელიც ითვალისწინებდა ასოცირებული ხარისხის მინიჭებას, რაც წარმოადგენდა საფუძველს მოკლე ციკლის პროგრამის შემუშავებისათვის, 2020 წლის 29 თებერვლამდე განისაზღვრა დამატებით მეორე კვალიფიკაცია - მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. შესაბამისად, აღნიშნული პროგრამები დაწესებულებების მიერ იქნა შესაბამისობაში მოყვანილი ჩარჩო დოკუმენტების აღნიშნულ ცვლილებასთან და პროგრამების საკითხები განმეორებით გადის განსახილველად საბჭოს სხდომაზე. პროგრამები უკვე წარმოადგენენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს და შესაბამისად, აღარ არსებობს საფუძველი, რომ გადავადდეს ან დამატებითი ვადა განესაზღვროს ამ პროგრამებს განსახორციელებლად.

დღის წესრიგში წარმოდგენილი პირველი სამი საკითხი სწორედ ამ ცვლილებებითაა განპირობებული, გარდა ამისა გადაწყვეტილებებში, რიგ შემთხვევაში იცვლება კვალიფიკაციის კოდი სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალური სფეროს კოდით, რადგან 2019 წლის 10 აპრილს ძალაში შევიდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №69/ნ „ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ".

1. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,ოპიზარისთვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტებმრის №177 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

კახაბერ ერაძემ საბჭოს განუმარტა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებამ მომართა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მის საგანმანათლებლო პროგრამაში - ვეტერინარია - ცვლილებების განხორციელების თაობაზე, რაც გამოწვეულია ზემოხსენებული ცვლილებით შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებში (პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებში).

ცენტრმა უზრუნველყო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის შესაბამისობის შემოწმება შესაბამის შეცვლილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებთან (პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან) და სამსახური ადასტურებს, რომ პროგრამა სრულად შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნებს და მიმართავს საბჭოს შუამდგომლობით, შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები საბჭოს გადაწყვეტილებაში წარმოდგენილი სახით.

თავმჯდომარე დაინტერესდა, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,ოპიზარისთვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტებმრის №177 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,ოპიზარისთვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის №177 გადაწყვეტილებაში, კერძოდ:

ა) გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ოპიზარისთვის" საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ"

ბ) გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „ოპიზარს“ (ს/კ: 224066980) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:“

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	შედუღება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში 0715	38	53	ქართული	30	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106
2	ხის მხატვრული დამუშავება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში 0214	89	104	ქართული	32	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106
3	იატაკისა და ფილის სამუშაოები (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში 0732	82	97	ქართული	45	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106
4	ვეტერინარია (1)	მეხუთე დონე	ა) ასოცირებული ხარისხი ვეტერინარიაში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) 0841 ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი) 010252	120	150	ქართული	45	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106

5	ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოება (2)	მეოთხე საფეხური	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სასურსათო პროდუქტების წარმოებაში 041065	85	115	ქართული	10	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

2. შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 დეკემბრის №218 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

კახაბერ ერაძემ საბჭოს განუმარტა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებამ მომართა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მის საგანმანათლებლო პროგრამაში - ფარმაცია (სააფთიაქო) - ცვლილებების განხორციელების თაობაზე, რაც გამოწვეულია ზემოხსენებული ცვლილებით შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებში (პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებში).

ცენტრმა უზრუნველყო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის შესაბამისობის შემოწმება შესაბამის შეცვლილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებთან (პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან) და სამსახური ადასტურებს, რომ პროგრამა სრულად შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნებს და მიმართავს საბჭოს შუამდგომლობით, შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები საბჭოს გადაწყვეტილებაში წარმოდგენილი სახით.

თავმჯდომარე დაინტერესდა, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 დეკემბრის №218 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 დეკემბრის №218 გადაწყვეტილებაში, კერძოდ:

გადაწყვეტილების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივ კოლეჯს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები"

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე/საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ინფორმაციის ტექნოლოგია (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 0612	60	75	ქართული	20	ქ. საგარეჯო, ლეონიძის №33ა
2	ბუღალტრული აღრიცხვა (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 0411	99	129	ქართული	20	ქ. საგარეჯო, ლეონიძის №33ა
3	აღმზრდელი (1)	მეხუთე საფეხური	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში 030255	116	146	ქართული	30	ქ. საგარეჯო, ლეონიძის №33ა
4	ფარმაცია (სააფთიაქო) (1)	მეხუთე დონე	ა) ასოცირებული ხარისხი ფარმაციაში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) 0916 ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში (მოქმედების ვადა 2020 წლის 29	120	150	ქართული	20	ქ. საგარეჯო, ლეონიძის №33ა

			თებერვალი) 090352					
5	საოფისე საქმე (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში 0415	59	89	ქართული	32	ქ. საგარეჯო, ლეონიძის №33ა

(1) აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

3. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეასთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 დეკემბრის №185 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

კახაბერ ერაძემ საბჭოს განუმარტა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებამ მომართა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მის საგანმანათლებლო პროგრამაში - ფარმაცია (სააფთიაქო) - ცვლილებების განხორციელების თაობაზე, რაც გამოწვეულია ზემოხსენებული ცვლილებით შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებში (პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებში).

ცენტრმა უზრუნველყო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის შესაბამისობის შემოწმება შესაბამის შეცვლილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებთან (პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან) და სამსახური ადასტურებს, რომ პროგრამა სრულად შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნებს და მიმართავს საბჭოს შუამდგომლობით, შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები საბჭოს გადაწყვეტილებაში წარმოდგენილი სახით.

თავმჯდომარე დაინტერესდა, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეასთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 დეკემბრის №185 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეასთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 დეკემბრის №185 გადაწყვეტილებაში, კერძოდ:

ა) გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეასთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ".

ბ) გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას (ს/კ: 400023595) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:"

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე/საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	კბილის სატექნიკო საქმე (1)	მეოთხე საფეხური	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია კბილის სატექნიკო საქმეში 090252	82	112	ქართული	40	ქ. თბილისი, თორნიკე ერისთავის ქ. №2
2	ფარმაცია (სააფთიაქო) (1)	მეხუთე დონე	ა) ასოცირებული ხარისხი ფარმაციაში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) 0916 ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი) 090352	123	153	ქართული	40	ქ. თბილისი, თორნიკე ერისთავის ქ. №2

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

4. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტს საჯარო განხილვაზე წარმოადგენდნენ ნინო ლომიძე, აკაკი გუნცაძე, ნუგზარ მიქაძე, იაკობ მანჯგალაძე, ჯემალ კახაძე, იური კოხრეიძე, რომან ბელთაძე, ეკატერინე ნარეშელაშვილი და თამარ აფციაური, რომელთაც სხდომაზე წარმოადგინეს შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. დოკუმენტი დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ პროგრამის დამატების მიზნით წარმოდგენილ განაცხადს და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - ქეთევან ბოტკოველმა და თამარ ახალაძემ.

თამარ ახალაძემ საბჭოს მოახსენა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 26 მარტის №211 ბრძანების საფუძველზე შექმნილმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა, რომლის თავმჯდომარე იყო ქეთევან ბოტკოველი, ხოლო ჯგუფის წევრები - თამარ ახალაძე და ინგა ბოჭოიძე, 2019 წლის 10 და 11 აპრილს განახორციელა ვიზიტი სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, კერძოდ სამტრედიის მუნიციპალიტეტ, სოფელ დიდ ჯიხაიშში არსებულ ფილიალში „მეფუტკრეობის", „მევენახეობის", „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის" და „ბუღალტრული აღრიცხვის" საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით. თამარ ახალაძემ აღნიშნა, რომ იგი პირადად იმყოფებოდა 2018 წელს სოფელ დიდ ჯიხაიშში არსებულ ფილიალში ავტორიზაციის ვიზიტზე და ექსპერტებს ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით ამჯერადაც დახვდათ იგივე სიტუაცია. ასევე, აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენელების განმარტებით გაწერილია და გათვალისიწინებულია სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ შენობა-ნაგებობის რემონტი.

თამარ ახალაძემ საბჭოს გააცნო რეკომენდაციები:

1.1. შეიმუშავოს მეთოდოლოგია, რომელიც გამორიცხავს მოდულურ პროგრამებში ტექნიკური შეცდომების არსებობას. ექსპერტის განმარტებით მოდულებში იყო ხარვეზები, კერძოდ, არ იყო სრულად ადაპტირებული, მოდულების დამხმარე ჩანაწერები, სადაც უნდა ყოფილიყო განსაზღვრული სწავლების მეთოდები, განხორციელების მიდგომები, სასწავლო ლიტერატურა არ იყო მითითებული სწორად.

ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია აღნიშნული ხარვეზები გასწორების თაობაზე, რაც გაითვალისწინა დაწესებულებამ და ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა გასწორებული პროგრამები.

1.2. კატალოგში დარჩენილია 1 პროგრამა - ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტი (წვრილ ცხოველთა: ძაღლი, კატა და სხვა; სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების; ეგზოტიკური ცხოველების, ფრინველების და თევზების და სხვა) - რომელსაც დიდი ჯიხაის ფილიალი ადრე ახორციელებდა. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ამ პროგრამის კატალოგიდან ამოღებასთან დაკავშირებით;

1.5. ექსპერტების მიერ კოლეჯის წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაციები იმასთან დაკავშირებით, რომ მოიძიონ და გააფორმონ მემორანდუმები სხვა დაწესებულებებთანაც, რომლებიც იგივე პროგრამებს ახორციელებენ, რათა საჭიროების შემთხვევაში, სრულად დააკმაყოფილონ და უზრუნველყო სტუდენტთა მოთხოვნები; მოდულური პროგრამების განხორციელების მიზნით დაწესებულებას ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულებები სხვადასხვა დაწესებულებებთან. ექსპერტებმა მოინახულეს პრაქტიკის ობიექტები, რაც ძალიან მოეწონათ. განსაკუთრებით მეფუტკრეობის და მევენახეობის მიმართულებით. პარტნიორები მზად არიან თანამშრომლობისთვის, გათავისებული აქვთ ის მოვალეობები და ვალდებულებები, რაც მათ უნდა განახორციელონ. თუმცა ექსპერტებმა დაწესბულებას მისცეს რეკომენდაცია, მოიძიონ უფრო მეტი პრაქტიკის ობიექტები და ჰქონდეთ უფრო მეტ დაწესებულებებთან კავშირი გამომდინარე იქიდან რომ პრობლემების შემთხვევაში ჰქონდეთ საშუალება ჩაანაცვლონ ერთი დაწესებულება მეორეთი.

1.6. კოლეჯის წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაციები დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესის შექმნასთან დაკავშირებით;

2.3. დაწესებულებაში ბიბლიოთეკა განთავსებულია დიდ სივრცეში, რომლის გათბობაც და მოვლაც შენობის სიძველის გათვალისწინებით, სიძნელეებთან არის დაკავშირებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წიგნადი ფონდის დიდი ნაწილიც მოძველებულია და საჭიროებს ჩამოწერას. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ბიბლიოთეკის ფართის ცვლილებასთან დაკავშირებით, რამდენადაც ამავე სართულზე არის საკმაოდ კარგი ოთახები, რომლებიც ბიბლიოთეკისთვის შეიძლება იყოს გამოყენებული. ექსპერტის თქმით დაწესებულებას უკვე გათვალისწინებული აქვს ეს რეკომენდაცია. აღნიშნული დაადასწტურეს დაწესებულების წარმომადგენლებმა.

თამარ ქიტიაშვილი დაინტერესდა, ხომ არ არის ექსპერტების მიერ შერბილებული მიდგომა და ის საკითხები, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო ხარვეზებად კვალიფიცირებული, გადმოტანილია რეკომენდაციებში. დაინტერესდა ექსპერტთა არგუმენტებით, თუ რატომ არ დააფიქსირეს რესურსის არ არსებობა და მოძველებული რესურსი, როგორც არასაკმარისი რესურსი პროგრამის განხორციელებისთვის. ასევე, პირველივე რეკომენდაციაში იკვეთება, რომ არ არსებობს მექანიზმი, რაც ხელს შეუწყობს უხარვეზოდ პროგრამის შემუშავებას. შესაბამისად, თავმჯდომარემ ექსპერტებისგან მოითხოვა უფრო მეტი დამაჯერებლი არგუმენტების წარდგენა საბჭოსთვის, თუ რატომ არ მიიჩნიეს ზემოხსენებული დარღვევებად.

თამარ ახალაძემ განმარტა, რომ რეალურად არ იკვეთებოდა რესურსის არარსებობა იმის გათვალისწინებით, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტს აქვს ძალიან დიდი საბიბლიოთეკო ფონდი, აქვს ელექტრონული ხელმისაწვდომობა მთელ რიგ სახელმძღვანელოებზე. ასევე, ვიზიტის დროს

წარმოდგენილი იქნა სახელმძღვანელოების ელექტრონული და ნაბეჭდი ვერსიები. იმ პროგრამებთან დაკავშირებით, რომელთა დამატების უფლებასაც ითხოვს დაწესებულება, სასწავლო რესურსი წარმოდგენილი იყო და ამ მხრივ პრობლემა არ გამოიკვეთა. საუბარი ეხება ზოგადად ძალიან დიდ საბიბლიოთეკო ფონდს, სადაც ბევრი დაზიანებულ წიგნია, რომელსაც სასწარაფოდ სჭრიდება განახლება. აღნიშნული პროგრამების დამატებას არ ეხება და ხელს არ უშლის. ექსპერტის განცხადებით სოფელ დიდი ჯიხაიშის ფილიალი არის ისტორიული დაწესებულება და ძალიან საჭირო რეგიონში. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ძალიან დიდ იმედებს ამყარებს და თვლის, რომ აქ ყველაფერი კარგად წარიმართება, გარდა ამისა ადმინისტრაციამ ექსპერტებს მიაწოდა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ აქვთ გეგმები აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტთან კონტაქტის საშუალებით განამყარონ და გააძლიერონ საწავლო პროგრამები. თუ დასამატებლად წარმოდგენილი პროგრამები მიმდინარე არ იქნება, მაშინ ეს ყველაფერი შეფერხდება. თამარ ახალაძის განცხადებით ზოგადად ფილიალში არის არასახარბიელო მდგომარეობა ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, თუმცა, ფორმალურად დებულების მოთხოვნები არ ირღვევა. ის აუდიტორიები, სადაც უნდა ჩატარდეს სალექციო მეცადინეობები წესრიგშია, ბაზები, სადაც უნდა განხორციელდეს პრაქტიკული მეცადინეობები, წესრიგშია. თამარ ახალაძემ აღნიშნა, რომ სასურველია უფრო მეტი დამოუკიდებლობა ჰქონდეს ფილიალს, ასევე, რეგულეციების მხრივ პროფესიული გამოეყოს უმაღლესს.

თამარ ქიტიაშვილის განცხადებით რეკომენდაციები არის საკმაოდ მძიმე, მაღალი ალბათობაა იმისა, რომ აღნიშნული ფორმულირებულიყო, როგორც ხარვეზები. თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ მიმართა ექსპერტებს დაზუსტებისთვის, ხომ არ შეარბილეს პოზიცია იმის გამო, რომ ასეთი მნიშვნელობის დაწესებულებაა რეგიონისთვის.

პასუხად თამარ ახალაძემ კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ არ ირღვევა დებულების მოთხოვნები და არსებული სიტუაცია ექვემდებარება გაუმჯობესებას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა 1.5 ქვესტანდარტის ხარვეზი, რაც ეხება პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს. კონკრეტულად კი დარღვევა გამოიხატებოდა ერთ-ერთი პროგრამისათვის მემორანდუმის არ არსებობით. დაწესებულებას თავისივე რეგულაციაში აქვს გაწერილი, რომ აუცილებლად უნდა უზრუნველყოს მემორანდუმი. ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლების განცხადებით უკვე გათვალიწინებულია აღნიშნული და გაფორმებული აქვთ უკვე მემორანდუმი.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა კახაბერ ერაძემ განმარტა - წლების განმავლობაში იყო დადგენილი ტრადიცია, რომ თითქოს მემორანდუმი არის ერთადერთი გზა სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფისა თუ საგანმანათლებლო პროგრამა შეიცვლება, ან გაუქმდება ან დაწესებულებას ჩამოერთმევა ავტორიზაცია. თუმცაღა, რეალურად არსებობს რეალობა, სიტუაცია, როდესაც რომელიღაც კოლეჯი პირველი იმატებს ამა თუ იმ პროგრამას და მარტივად პარტნიორს ვერ იშოვის. შესაბამისად ის ვერ დადებს ვერავისთან მემორანდუმს. მეორეც, მემორანდუმი არის უსუსტესი მექანიზმი იმ სხვა მექანიზმებს შორის, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის შემდგომ გაგრძელებას. ძალიან დაბალია მოლოდინი, რომ თბილისიდან ან დიდი ჯიხაიშიდან სტუდენტი წავა ბათუმში, ან ქობულეთში თუკი პროგრამა გაუქმდება. ამიტომაც პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაცია ბოლო სამი წლის განმავლობაში იყო - კი, მემორანდუმი

განვიხილოთ ერთ-ერთ ალტერნატივად, მაგრამ არსებობს სხვა მექანიზმები სტუდენტის შემდგომი განათლებით უზურუნველყოფისა, როგორიც გახლავთ შიდა ან გარე მობილობა, სწავლის შედეგების აღიარების გზით, ან სხვა ალტერნატივები. კარგი იქნება თუ დაწესებულებები თავიანთ რეგულაციებში გააჩენენ შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის სხვა მექანიზმებს, გარდა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მემორანდუმების გაფორმებისა. კახაბერ ერაძემ სთხოვა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გაიზიარონ აღნიშნული რეკომენდაცია და შეცვლილი მექანიზმი ცნობის სახით გამოაგზავნონ ცენტრში.

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით ტექნიკურ უნივერსიტეტს რეგულაციაში უკვე აქვს მსგავსი მექანიზმი. აღნიშნავენ, რომ მემორანდუმი არის არა ერთადერთი, არამედ, სწორედ, ერთ-ერთი მექნიზმი პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველსაყოფად.

ქეთევან ბოტკოველმა დააზუსტა, რომ რეგულაციაში წერია, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტს შემდგომი განათლებით და, ასევე, არის ჩანაწერი, რომ მემორანდუმს გააფორმებენ. დიახ ერთ-ერთია და რამდენადაც ეს ჩანაწერი არსებობს ექსპერტებმა მოითხოვეს გაფორმებული მემორანდუმი. სხვა მხრივ იგი ეთანხმება ბატონ კახაბერ ერაძეს და თვლის, რომ მემორანდუმი არის სუსტი მექანიზმი. ექსპერტმა კიდევ ერთხელ ისაუბრა, რომ იყო მცირე შეცდომები მოდულებში, არ იყო ადაპტირებული, მაგალითად სიტყვა სარეკომენდაციო იყო ჩარჩენილი. შესაბამისად გაიცა რეკომენდაცია შეიმუშაონ მექანიზმი რათა აღარ მოხდეს ასეთი შეცდომებით პროგრამების შემუშავება. ექსპერტების რეკომენდაციის საფუძველზე ვიზიტის მიმდინარეობისას მოხდა გასწორება. მაგრამ არ მოხდა ამისი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დამოწმება, ამჯერად უკვე დამტკიცებულია შეცვლილი სახით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ ისაუბრა იმაზე, რომ დაწესებულება განთავსებულია ძალიან დიდ და ძველ შენობაში და არის სარემონტო, შენობა საჭიროებს კაპიტალურ რემონტს. მიუხედავად ამისა, აუდიტორიები, სადაც უნდა განხორციელდეს დასამატებელი საგანმანათლებლო პროგრამები მოწესრიგებულია, გარემონტებულია, იქ სწავლება თავისუფლად შეიძლება. დამატებით აღნიშნა, რომ ვებგვერდზე არ არის ცალკე გამოყოფილი პროფესიული განათლების შესახებ ინფორმაცია, ფაკულტეტების ქვეშ უნდა მოიძიოს დაინტერესებულმა პირმა აღნიშნული ინფორმაცია, ამიტომ ექსპერტების რეკომენდაციაა, რომ ვებგვერდზე ცალკე გამოიყოს პროფესიული განათლება, რომ დაინტერესებულ პირთათვის უფრო ადვილად მოსაძებნი იყოს შესაბამისი ინფორმაცია.

კახაბერ ერაძე დაინტერესდა, რაიმე ხედვა ხომ არ აქვს უნივერსიტეტს პროფესიული განათლების განვითარებასთან დაკავშირებით. კონკრეტულად კი თითქმის ყველა კოლეგა უნივერსიტეტმა ცალკე შექმნა სტრუქტურა პროფესიული განათლებისთვის. გაიტანა ფაკულტეტებიდან და ერთიან მართვაში მოაქცია, რაც როგორც პრაქტიკამ აჩვენა ბევრად ეფექტურია.

თამარ ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია უკავშირდება ცენტრალიზაცია-დეცენტრალიზაციის საკითხს. უნივერსიტეტის მაშტაბიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე გართულებულია ადმინისტრირება. სისტემაში გამოკვეთილია ტენდენცია, რომ უნივერსიტეტები ქმნიან ცალკე ერთეულებს და აკეთებენ რიგი საკითხების დეცენტრალიზაციას. რეკომენდაცია გაუწია დაწესებულებას ეს პრაქტიკა გაიზიარონ ახალი სტანდარტების ამოქმედების დროისთვის მაინც, იმიტომ რომ ახალი სტანდარტის პირობებში ძალიან გართულდება სტანდარტების და ქვესტანდარტების დაკმაყოფილება და სერიოზულ გამოწვევას შეუქმნის სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ეკატერინე ნარეშელაშვილი დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარეს არსებული გამოწვევის თაობაზე და განმარტა, რომ იგეგმება ახლო მომავალში უნივერსიტეტში ცალკე გამოიყოს პროფესიული განათლების დეპარტამენტი. თუმცა ამ ეტაპზე კონკრეტული გადაწყვეტილება არ არის მიღებული.

ექსპერტებმა კიდევ ერთხელ, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ კარგი იქნებოდა ცალკე იყოს რეგულაციები გაწერილი პროფესიული განათლებისთვის მისი სპეციფიკის გათვალისწინებით. თუმცა, ქეთევან ბოტკოველმა აქვე აღნიშნა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 ოქტომბრის სხდომაზე სტუ-სათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებასთან დაკავშირებით მიღებული და პროფესიული პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის სპეციალისტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებისთვის დაწესებულებამ შეიმუშავა სამოქმედო გეგმა ავტორიზაციის სტანდარტებისა და კომპონენტების მიხედვით. გეგმაში რეკომენდაციების განხორციელება დასრულდება 2019 წლის ივნისის ბოლოსთვის. მათ შორისაა რეგულაციების გამიჯვნა პროფესიული და უმაღლესი განათლებისთვის.

ექსპერტებმა განაცხადეს, რომ დაწესებულებას რეკომენდაციები მიეცა საევაკუაციო გეგმების შეცვლა-განახლების თაობაზე, რათა ისინი იყოს ახალი სტანდარტების შესაბამისად. ასევე, რეკომენდაცია გაიცა მოძრავი პანდუსების დამზადებასთან დაკავშირებით. პანდუსები აქვთ, მაგრამ გასაახლებელია.

ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი კმაყოფილია პრაქტიკის ობიექტებითა და პრაქტიკის ხელმძღვანელებით. შესაბამისად, ამ მხრივ არანაირი გაუმჯობესების რეკომენდაცია არ აქვთ.

საბჭოს თავმჯდომარემ რეკომენდაციით მიმართა დაწესებულებას, სამომავლოდ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება ჰქონდეთ უფრო მყარი და არა მხოლოდ დაწესებულების მფლობელობაში არსებული რესურსზე დაფუძნებული, რაც ერთ-ერთი პროგრამის შემთხვევაში გამოიკვეთა. აღნიშნა, რომ ძალიან კარგი დასაბუთება იყო მოყვანილი მევენახეობის საგანმანათლებლო პროგრამაზე. ექსპერტებს კი მოუწოდა, მომავალში მეტი ყურადღება გაამახვილონ ამ მიმართულებით. ხოლო, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს მიმართა შუამდგომლობით გადაამოწმოს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ზემოაღნიშნული სამოქმედო გეგმის შესრულება და შედეგები წარუდგინოს საბჭოს.

თავმჯდომარე დაინტერესდა, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის მევენახეობის საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის მეფუტკრეობის საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის ბუღალტრული აღრიცხვის საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად,

1. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტს (ს/კ:211349192) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე/საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	მევენახეობა (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მევენახეობაში 0811	60	75	ქართული	სამტრედია, დიდი ჯიხაიში, ნ. ნიკოლაძის ქ. №126	15

2	მეფუტკრეობა (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მეფუტკრეობაში 0811	60	75	ქართული	სამტრედია, დიდი ჯიხაიში, ნ. ნიკოლაძის ქ. №126	15
3	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში. კოდი 0612	60	75	ქართული	სამტრედია, დიდი ჯიხაიში, ნ. ნიკოლაძის ქ. №126	15
4	ბუღალტრული აღრიცხვა (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში კოდი 0411	99	129	ქართული	სამტრედია, დიდი ჯიხაიში, ნ. ნიკოლაძის ქ. №126	15

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;
(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

2. სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1504-ით.

საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა ნინო ჩიქოვანმა.

5. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ პროგრამის დამატების მიზნით წარმოდგენილ განაცხადს და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - შორენა ხუბუნაიამ, ქეთევან გელაშვილმა და ნინო ამირანაშვილმა.

შორენა ხუბუნაიამ მოახსენა საბჭოს, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 26 მარტის №214-ე (ცვლილება შესულია 2019 წლის 28 მარტის №225 ბრძანებით) ბრძანების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით - შორენა ხუბუნაია (ჯგუფის თავმჯდომარე), ქეთევან გელაშვილი (ჯგუფის წევრი), ნინო ამირანაშვილი (ჯგუფის წევრი) 2019 წლის 1 და 2 მაისს განახორციელა ვიზიტი სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების - „საფინანსო სერვისები", „საოფისე საქმე," „ელექტროობა", „დეკორატიული მებაღეობა," „შედუღება" დამატების მიზნით ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა.

ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის სტანდარტებთან სრული შესაბამისობა დადგინდა ,,საოფისე საქმის" საგანმანათლებლო პროგრამის როგორც ქალაქ ზუგდიდის, ასევე ქალაქ სენაკის ბაზაზე, ,,ელექტროობის" საგანმანათლებლო პროგრამისთვის ასევე ორივე ბაზაზე, ,,შედუღების" პროგრამასთან მიმართებით ქალაქ ზუგდიდის ბაზაზე და ,,დეკორატიული მებაღეობის" ქალაქ სენაკის ბაზაზე. მეორე სტანდარტის პირველ ქვესტანდარტთან შეუსაბამობა დაფიქსირდა ,,საფინანსო სერვისების", ,,ელექტროობისა" და ,,დეკორატიული მებაღეობის" (ქალაქ ზუგდიდის ბაზაზე) პროგრამებისთვის. დაწესებულება აპირებს ,,დეკორატიული მებაღეობის" საგანმანათლებლო პროგრამა განახორციელოს როგორც მოდულური, ასევე დუალური მიდგომით. სენაკის ბაზაზე სურს განახორციელოს მოდულური მიდგომით, ხოლო ზუგდიდის ბაზაზე დუალური მიდგომით.

დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული ადამიანური და მატერიალური რესურსების გადამოწმებით დგინდება, რომ უნივერსიტეტის მიერ დასამატებლად წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, არ იქმნება უნივერსიტეტის მიერ ანალოგიური პროფილის უმაღლესი

აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების არაჯეროვნად განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმამათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა.

ექსპერტებმა დაწესებულებას მისცეს რამოდენიმე რეკომენდაცია:

ქვესტანდარტი 1.1

1. სასურველია დაწესებულებაში უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა დანართი იყოს ურთიერთშესაბამისობაში. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ მოდულების სასწავლო დატვირთვის ჯამური ოდენობა შესაბამისაობაშია სასწავლო გეგმაში მოცემული მოდულების საერთო დატვირთვასთან, სასურველია საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა, ასევე შესაბამისობაში იყოს სასწავლო გეგმის ფორმაში განაწილებულ საათებთან.

2. სასურველია დაწესებულება აწარმოებდეს პროფესიული სტუდენტების შეფასების უწყისების რეგისტრაციას.

თამარ ქიტიაშვილმა ითხოვა ექსპერტს დაეკონკრეტებინა აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებული გარემოებები. რაზეც შორენა ხუბუნაიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია შეფასების უწყისების დანომვრის და სარეგისტრაციო ჟურნალის წარმოების.

თამარ ქიტიაშვილი დაინტერესდა, რა ფორმით ინახებოდა უწყისები. შორენა ხუბუნაიამ განმარტა, რომ სტუდენტის პორტფოლიოში იყო ჩალაგებული შესაბამისი უწყისი. დაწესებულების წარმომადგენელმა მანანა სამუშიამ, ასევე, განმარტა, რომ უწყისები სახელისა და გვარის შესაბამისადაა დალაგებული ელექტრონულად. უბრალოდ არ იყო დანომრილი და რეგისტრირებული. კურსდამთავრებულთა რეესტრის ჟურნალში (ექსელის ბაზაში) შეაქვთ უწყისები.

შორენა ხუბუნაიამ განაცხადა, რომ ექსპერტებმა მატერიალურად ნახეს უწყისები, ნახეს მტკიცებულებებიც, პორტფოლიოებიც, თუმცა უწყისები არ იყო რეგისტრირებული საქმისწარმოების წესის მიხედვით და გაიცა შესაბამისი რეკომენდაცია მათთვის ნომრის მინიჭების შესახებ.

ქვესტანდარტი 1.6

1. სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშავოს პროგრამის განვითარების პროცესში სტუდენტთა და მასწავლებელთა ჩართვისა და მათგან უკუკავშირის მიღების მექანიზმები. მაგ: სამიზნე ჯგუფებში მოტივაციის ამაღლება, ფოკუს-ჯგუფების შექმნა, კითხვარების მოცულობის გადახედვა, და სხვა.

ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა ვიზუალური მასალა დაწესებულების სასწავლო გარემოების შესახებ.

თამარ ქიტიაშვილის მოთხოვნის თანახმად შორენა ხუბუნაიამ საბჭოს განუმარტა, რომ დაწესებულებას ვიზიტის პერიოდისთვის ჰქონდა გამოცხადებული ტენდერები, ექსპერტების მიერ დასკვნის დანართად წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაცია და წინადადებები, რაც იყო ვიზიტის დროისათვის. ანუ ვიზიტის დროს გამოცხადებული იყო ტენდერი, რომელიც არ იყო დასრულებული, შესაბამისად ექსპერტებმა ვიზუალურად ვერ ნახეს ინვენტარი. თუმცა ექსპერტებმა აღნიშნეს რომ სხდომის დღეს დაწესებულებას უკვე წარმოდგენილი აქვს შესყიდვის დოკუმენტაცია და დაადასტურეს რომ მატერიალური კუთხით პროგრამების განხორციელებას საფრთხე არ შეექმნება.

ნიკოლოზ მესხიშვილმა, რომელიც წარმოადგენდა საქართველოს ფერმერთა ასოციაციას, რომელიც კოორდინაციას უწევს სწავლების კომპონენტს სხვადასხვა რეგიონში, გამოხატა სრული თანადგომა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობით უზრუნველყოფის ნაწილში.

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა, თეონა ხუფენიამ განაცხადა, რომ დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციებს. აღნიშნა, რომ სულ ახლახანს შეიმუშავეს არქივის ახალი ნომენკლატურა, რომლის ნაწილიცაა უწყისებიც. შესაბამისად მათი აღრიცხვიანობა, შენახვის ვადები ყველაფერი გადახედილია და უნივერსიტეტს აქვს თავისი გეგმა, რომ ეს ყველაფერი გაასწოროს. რაც შეეხება ხარისხის ნაწილს - ჩართულობის თვალსაზრისით პროფესიული სტუდენტის ინტერესი გამოკითხვებში მონაწილეობისა ნაკლებია, მაგრამ დაწესებულებას აქვს მსგავსი გამოცდილება უმაღლესში, სადაც უკვე დანერგეს ელექტრონული სტუდენტური პროგრამა, რომელშიც სტუდენტი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა გამოკითხვაში სხვანაირად ის ვერანაირ ინფორმაციას ვერ მიიღებს. ვალდებულია გახსნას პროგრამა, გაეცნოს მისიას, გაიაროს გამოკითხვა, გამოხატოს მისი სურვილები, რეკომენდაციები და ამის შემდეგ გადადის უკვე იმ ნაწილზე, რაც მისთვის არის საინტერესო.

რექტორმა განმარტება გააკეთა დასკვნაში დაფიქსირებულ ხარვეზის ნაწილზეც. აღნიშნა, რომ ზოგადად დაწესებულებებისთვის ძალიან მტკივნეულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული აღჭურვილობის შეძენის მიზნით გამოცხადებული ტენდერების საკითხი, რადგან, განსაკუთრებით რეგიონებში, დაბალია მომწოდებლების ინტერესი, რაც ხშირად ტენდერების ჩაშლას და პროგრამების დამატების და განხორციელების დროში გაჭიანურებას ან ხელის შეშლას იწვევს. თეონა ხუფენიამ საბჭოს მოახსენა, რომ ამ დროისთვის ყველა პროგრამასთან მიმართებით არსებული პრობლემა უკვე აღმოფხვრილია.

თავმჯდომარე დაინტერესდა, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის საოფისე საქმის საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის დეკორატიული მებაღეობის საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის საფინანსო სერვისების საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის შედუღების საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის ელექტროობის საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად,

1. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ:220407888) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე/საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	საოფისე საქმე (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია	67	97	ქართული	40	ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14

			საოფისე საქმეში 0415				40	ქ. სენაკი, მშვიდობის ქ.№192
2	დეკორატიული მებაღეობა (1, 2)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში 0812	85	115	ქართული	20	ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14
							30	ქ. სენაკი, მშვიდობის ქ.№192
3	საფინანსო სერვისები (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში 0412	55	70	ქართული	40	ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14
							40	ქ. სენაკი, მშვიდობის ქ.№192
4	შედუღება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში 0715	45	60	ქართული	20	ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14
5	ელექტროობა (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 0713	52	67	ქართული	30	ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14
							30	ქ. სენაკი, მშვიდობის ქ.№192

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

2. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 828-ით.

საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ვახტანგ ჭარაია.

6. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „აისისთვის“ საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ პროგრამის დამატების მიზნით წარმოდგენილ განაცხადს და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - თეა ლილუაშვილმა და თამარ ახალაძემ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თეა ლილუაშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 3 აპრილის №250 ბრძანების საფუძველზე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა (თეა ლილუაშვილი, თამარ ახალაძე, დავით კუპატაძე) 2019 წლის 17, 18 და 19 აპრილს ვიზიტი განახორციელა სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ აისში. ვიზიტის მიზანი იყო კოლეჯის მიერ დასამატებლად წარმოდგენილი სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. დაწესებულებისთვის სრულიად ახალი არაა დასამატებლად წარმოდგენილი პროგრამები, რადგან მსგავსი ეგრეთ წოდებული საგნობრივი და მოდულური პროგრამები ჰქონდათ მანამდე. თმის და სილამაზის მომსახურების პროგრამის განხორციელებას აპირებენ, როგორც ძირითად ფართზე კაჭრეთში, ასევე სოფელ სამრეკლოსა და ქვემო ალვანში მდებარე სასწავლო ფართებზე, მომინანქრების პროგრამის დამატება სურთ ქვემო ალვანში, ხოლო, ხილის და ბოსტნეულის გადამუშავების პროგრამის დუალური პრინციპით - სოფელ კაჭრეთში.

ექსპერტების მიერ ხარვეზები არ დაფიქსირებულა, თუმცა კოლეჯს მიეცა რამდენიმე რეკომენდაცია:

1.1 ქვესტანდარტთან მიმართებაში: 1. მოხდეს კოლეჯის მიერ განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურის ეტაპების დოკუმენტირება; 2. პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში აისახოს ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის შესახებ; 3. ხილის და ბოსტნეულის გადამუშავების სასწავლო გეგმა კორექტირდეს იმგვარად, რომ საწარმოში გასატარებელი პერიოდი დაემთხვეს მაისი-სექტემბრის მონაკვეთს; ექსპერტმა აღნიშნა, რომ არგუმენტირებული პოზიციასთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა გასწორებული სასწავლო გეგმა.

თამარ ქიტიაშვილის კითხვაზე, თუ რატომ მოხდა თავდაპირველად ასეთი აცდენა, დირექტორმა განმარტა, რომ თავდაპირველად სასწავლო გეგმა იყო დალაგებული ბლოკ-სქემებად. ასევე, ქარხნის წარმომადგენლების მიერ არასწორად იქნა აღქმული კითხვა. ქარხნისთვის აქტიური პერიოდია მაისი-

სექტემბერი, ამ პერიოდში მზადდება ნახევარფაბრიკატები, რომელსაც შემდეგ პერიოდში იყენებენ, ანუ, შემოდგომა - ზამთრისათვის, მაგრამ ისე არ ხდება, რომ ქარხანა სრულიად არ მუშაობდეს. თუმცა, მიუხედავად ამისა, დაწესებულებამ დააკორექტირა სასწავლო გეგმა.

2.5 ქვესტანდარტთან მიმართებაში - მოხდეს ფილიალების სპეციფიკის გათვალისწინება და რეალური პრაქტიკის ასახვა საქმისწარმოების წესში;

2.6 ქვესტანდარტთან მიმართებაში - ძირითად და დამატებით სასწავლო ფართებზე განსხვავებული სიტუაციის შესაბამისად განხორციელდეს ცვლილებები „წესრიგის დაცვის და შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესში“ . რეგულაციასი წერია რომ დამონტაჟებულია ამდენი კამერა, ყავს ამდენი დარაჯი და ასე შემდეგ. ეს კამერები დამონტაჟებული იყო მხოლოდ კაჭრეთში, ხოლო დამატებით ფართებზე ყავთ მხოლოდ დარაჯები და ამასთან დაკავშირებით იყო რეკომენდაცია რომ კონკრეტულ ფართზე რა ტიპის უსაფრთხოების წესებია ეს იყოს განმარტებული.

3.1 ქვესტანდარტთან მიმართებაში - შემუშავდეს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რითაც განისაზღვრება კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად სათანადო ცოდნა და უნარები.

დირექტორმა განაცხადა, რომ კოლეჯი არის დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა - Eflow-ში ჩართული, თუმცა არა ფილიალები. კოლეჯში დამკვიდრებული პრაქტიკით, მეილზე იგზავნება კორესპონდენციები და შემდეგ იტვირთება იფლოუში. ამ ეტაპზე მიმდინარეობს როუტერების შესყიდვა, რომელიც იფლოუს სისტემის ჩართვის საშუალებას მისცემთ კოლეჯის ფილიალებში. ასევე, აღნიშნა, რომ ყველა პოზიციისთვის გაიწერა და დამტკიცდა უკვე საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

თავმჯდომარე დაინტერესდა, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „აისისთვის“ თმისა და სილამაზის მომსახურების საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „აისისთვის“ მომინანქრების საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „აისისთვის“ ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად,

1. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „აისს" (ს/კ:227770800) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე/საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	თმისა და სილამაზის მომსახურება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში 1012	57	72	ქართული	30	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. კაჭრეთი
							30	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. სამრეკლო
							24	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვემო ალვანი
2	მომინანქრება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მომინანქრებაში 0214	61	76	ქართული	30	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვემო ალვანი
3	ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება (2)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასურსათო პროდუქტების წარმოებაში 0721	85	115	ქართული	15	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. კაჭრეთი

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;
(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

7. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ "აისის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №26 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

კახაბერ ერაძემ განმარტა, რომ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „აისის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №26 გადაწყვეტილებაში ცვლილების საჭიროება გამოიწვია დღევანდელი საბჭოს დღის წესრიგით განსაზღვრულმა მეექვსე საკითხმა. კოლეჯმა მოიპოვა დამატებით სამი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება. ავტორიზაციის დებულების 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა წარმოადგენს თითოეული პროგრამის მიხედვით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების ჯამს, რაც იწვევს დაწესებულებისათვის განსაზღვრული პროფესიული სტუდენტთა საერთო ზღვრული რაოდენობის კორექტირების საჭიროებას.
აღნიშნა, რომ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „აისის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №26 გადაწყვეტილებით დაწესებულებას პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული ჰქონდა 1300-ით. თუმცა, აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ცვლილება შევიდა 2018 წლის 6 სექტემბერს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს №137 გადაწყვეტილებით და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 1249-ით. შესაბამისად სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''აისს'' პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა ამ ეტაპზე უნდა განესაზღვროს 1378-ით.

თავმჯდომარე დაინტერესდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ "აისის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №26 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ "აისის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №26 გადაწყვეტილებაში, კერძოდ:

ა) გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,აისს'' (საიდენტიფიკაციო კოდი:227770800) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1378-ით.

8. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2"-ის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის მაძიებლის თვითშეფასების შევსებულ ფორმასა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე ავტორიზაციის მაძიებლის მიერ წარდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე ავტორიზაციის მაძიებლის მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა - მიხეილ სამხარაძემ და ხათუნა მაისაიამ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მიხეილ სამხარაძემ, საბჭოს გააცნო ვიზიტის ზოგადი მიმოხილვა. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 8 აპრილის N253 ბრძანების საფუძველზე, ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2"-ის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით 2019 წლის 23, 24 და 25 აპრილს ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტით იმყოფებოდა დაწესებულებაში, ქალაქ ზესტაფონში.

ექსპერტებმა წინასწარ შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია და კოლეჯის ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია, რის საფუძველზეც ექსპერტებმა შეადგინეს დღის წესრიგი. ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შეისწავლეს კოლეჯის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია, დამტკიცებული პროგრამა და პერსონალის პირადი საქმეები. პროგრამის განხორციელების შესაძლებლობის დადგენის მიზნით შეამოწმა დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დაათვალიერა სასწავლო ფართი და სასწავლო სახელოსნოები, ასევე მოინახულა პრაქტიკის ობიექტები და გაესაუბრა პასუხისმგებელ პირებს. შეხვდნენ პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებლებს და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს.

ექსპერტთა შეფასებით ხარვეზები არ გამოვლენილა. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მხოლოდ ერთი საგანმანათლებლო პროგრამა - „შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის ტექნოლოგიები".

ცენტრში წინასწარ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, კერძოდ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში ფიქსირდებოდა შეუსაბამობები - მოდულებში არსებული საათები არ ემთხვეოდა სასწავლო გეგმაში არსებულ საათებს, განსხვავება იყო საკონტაქტო და შეფასების საათებში, და ქართული ენის მოდულების შემთხვევაში არასაკონტაქტო და საკონტაქტო საათებში. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ ექსპერტებს წარუდგინა დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც სასწავლო გეგმა შეცვლილი ჰქონდათ და აღნიშნული შეუსაბამობებიც უკვე გამოსწორებული. დაწესებულებას

დამტკიცებული აქვს არაფორმალური განათლების აღიარების წესი და ამის საფუძველზე შექმნილი ყავდა კომისია. ამ კომისიის წევრები იყვნენ თვითონ დაწესებულების მასწავლებლები. მოგეხსენებათ, მოქმედი რეგულაციით არ შეიძლება, რომ აღნიშნულ კომისიაში იყვნენ კოლეჯის თანამშრომლები, აქედან გამომდინარე, როდესაც ამის შესახებ ექსპერტებმა აცნობეს, დაწესებეულებამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება, რომლითაც აღნიშნული დოკუმენტი ბათილად იცნო. აღსანიშნავია, რომ ამ კომისიას არ უმუშავია და ამ კომისიის არსებობას რაიმე სამართლებრივი შედეგი არ მოჰყოლია.

ექსპერტთა ჯგუფს მოუწია სხვადასხვა საკითხებზე ვრცელი რეკომენდაციების გაწევა. გამომდინარე იქიდან, რომ ახალი კოლეჯია, ახლა შემოდის განათლების ბაზარზე, იყო ბევრი ნიუანსი და ძირითადად ეს იყო საგანმანათლებლო სტანდარტთან დაკავშირებით. მაგალითად: მარეგულირებელ დოკუმენტში განსაზღვრული ჰქონდათ პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მექანიზმები, თუმცა არ ჰქონდათ ვადა გათვლილი, ანუ რამდენი ხნით უჩერებდნენ სტატუსს. ამასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, გაიცა შესაბამისი რეკომენდაცია. ასევე, არასრულწლოვანი პირის ჩარიცხვასთან დაკავშირებით, ვისთან მოხდება უშუალოდ ურთიერთობა არ ჰქონდათ ჩანაწერი, არ ჰქონდათ ჩანაწერი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესთან დაკავშირებით და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული ზოგადი განათლების აღიარების წესთან დაკავშირებით, რეგულაციებში აღნიშნულის შესახებ ჩანაწერების გაკეთების თაობაზე მიეცა დაწესებულებას რეკომენდაცია. ასევე, განმახორციელებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ცალკე პუნქტის სახით არ იყო გამოყოფილი სამუშაოს ანაზღაურების წესი, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და შვებულების მიცემის წესი. თუმცა შინაგანაწესში ეს ყველაფერი ასახული ჰქონდათ და, ასევე, ხელშეკრულებაში ჩადებული იყო პუნქტის სახით, რომ დასაქმებული გაეცნო შინაგანაწესს და ეთანხმება მას. აქედან გამომდინარე ფაქტი ქვესტანდარტის დარღვევად არ მიიჩნიეს ექსპერტებმა, თუმცა მიეცათ რეკომენდაცია რომ ხელშეკრულებებში პუნქტის სახით დაამატონ შრომის კოდექსით გათვალისიწნებული პირობები.

დაწესებულების დირექტორმა, თამარ ზაქარაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ დაფიქსირებული რეკომენდაციები მისაღებია. რაღაც ნაწილი რეკომენდაციებისა უკვე გაიზიარა დაწესბულებამ, რაღაც ნაწილი კი ეტაპობრივად იქნება გაზიარებული მათი შინაარსიდან გამომდინარე.

თამარ ქიტიაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, თუ რამდენად მზადაა კოლეჯი ოპერირებისათვის, მზად არის იმისთვის, რომ აამოქმედოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და გამართულად იფუნქციონიროს ყველა ასპექტით, ვთქვათ ადმინისტრირების კუთხით, ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით, განვითარების კუთხით.

მიხეილ სამხარაძემ განაცხადა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელს და განმახორციელებლებს. იქიდან გამომდინარე, რომ დაწესებულებისთვის ახალია მოდულური პროგრამების განხორციელება, განმახორციელებელბი კარგად არ იცნობენ შეფასების სტრუქტურას და იმ დოკუმენტებს, რომლის წარმოებაც მოუწევთ პროგრამის განხორციელების დროს - კალენდარული გეგმები, შეფასების ინსტრუმენტები და ასე შემდეგ. გაიცა რეკომენდაცია, რომ გაიარონ ტრენინგები, ან თავად დაგეგმონ ტრენინგების ციკლი. დაწესებულების განცხადების თანახმად ისინი გეგმავენ აღნიშნულის განხორციელებას. თუმცა, მიუხედავად ამისა, პერსონალის კვალიფიკაცია სრულიად დამაკმაყოფილებელია. ასევე, კოლეჯი აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გაწერილია ძალიან კარგად. შესაბამისად რაიმე ხელისშემშლელი

ფაქტორი რაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს დაწესებულების გამართულ ფუნქციონირებას ჯერ-ჯერობით არ გამოკვეთილა.

თამარ ქიტიაშვილმა მიმართა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ხომ არ იყო შესაძლებელი სამსახურს შეეთავაზებინა მხარდამჭერი აქტივობა დაწესებულებისთვის.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, კახაბერ ერაძემ განაცხადა, რომ ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი ,,კონსტრუქტ2" ერთ-ერთი დიდი პროექტია, სადაც კერძო-საჯარო პარტნიორობის ფარგლებში დაფუძნდა საგანმანათლებლო დაწესებულება. მისასალმებელია, რომ ერთ-ერთი ძლიერი პროვაიდერი უერთდება პროფესიული განათლების ბაზარს. რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი მხარდამჭერი აქტივობა აქვს სამსახურს. თუ კი დაწესებულება მიიღებს ავტორიზაციას, ის გახდება ბენეფიციარი ცენტრის მიერ გაწეული ყველა მომსახურებისა. შესაბამისად, თუ კოლეჯს ექნება სურვილი და მიმართავს სამსახურს, აუცილებლად ჩართავენ დანერგვის მხარდაჭერის პროგრამაში და მის ფორმატში განხორციელებულ აქტივობებში. ეს იქნება ადგილზე ექსპერტების დახმარების ვიზიტები, თუ ეს იქნება ტრენინგები.

თამარ ზაქარაშვილმა გამოხატა მზაობა კოლეჯის ჩართულობისა სხვადასხვა მხარდამჭერ, განმავითარებელ აქტივობებში.

მიხეილ სამხარაძემ ისაუბრა, ასევე საუკეთესო გამოცდილების ნაწილში ექსპერტთა მიერ დაფიქსირებული გარემოების შესახებ. ეს არის პირველ რიგში სასწავლო სახელოსნო, რომელიც აღჭურვილია უახლესი სასწავლო ინვენტარითა და მანქანა-დანადგარებით. კოლეჯის პრაქტიკული სწავლების სახელოსნოები მაქსიმალურად არის მიახლოებული რეალურ სამუშაო გარემოსთან და მოწყობილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. კოლეჯს, ასევე, აქვს კეთილმოწყობილი, საერთო საცხოვრებელი (მათ შორის ადაპტირებული ოთახი შშმ პირთათვის) და მოსასვენებელი სივრცე სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული პროფესიულ სტუდენტებისთვის. აღნიშნული საერთო საცხოვრებელი არის სრულიად უფასო.

თამარ ქიტიაშვილის განცხადებით სუფთა ფურცლიდან დაწყებისას კოლეჯს ერთი მხრივ დიდი პერსპექტივა აქვს წინ, თუმცა მეორე მხრივ, უზარმაზარ პასუხისმგებლობას უკავშირდება. ასე ვთქვათ, ნდობა ავანსადაა მონიჭებული, რასაც გამართლება სჭირდება და ეს ფაქტი ცხადია, უდიდესი გამოწვევის წინაშე აყენებს გუნდს.

ანა საბახტარიშვილმა გამოხატა რწმენა, რომ დაწესებულება ძალიან მალე შეძლებს გავიდეს იმ კურსდამთავრებულთა იმ მასშტაბზე, რომ შეძლონ დააკმაყოფილონ მინიმუმ დასავლეთ საქართველოში ის შიმშილი, რომელიც სექტორში არის, და ეს შიმშილი არის მართლაც კატასტროფული. აქ საუბარი არაა რაოდენობაზე, არამედ ხარისხობრივად. ხარისხში იგულისხმება, პირველ რიგში მოტივაცია, მეორე სურვილი რომ ამ სექტორში იმუშაონ, მესამე, სამწუხაროდ კომპანიები მეტწილად ამბობენ, რომ სუფთა ფურცლიდან უხდებათ ხოლმე სწავლების დაწყება, ამიტომ მოლოდინი სექტორში არსებობს ძალიან მაღალი. ასევე, გამოთქვა სურვილი უახლოეს მომავალში, როდესაც დაწესებულება დაიწყებს უკვე აქტიურ საქმიანობას ა(ა)იპ - ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციასთან ერთად დასახონ კონკერტული მიზნები და გეგმები, რადგან როგორც სექტორული ასოციაციისთვის მნიშვნელოვანია

გაწვდიდეთ ინფორმაციას და პირიქით, იმისთვის რომ მაქსიმალურად გავაძლიეროთ შემდგომ უკვე დამსაქმებლები კადრების მოძიების კუთხით.

ლელა მაისურაძემ აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია კერძო კომპანიების უფრო მეტი ჩართულობა, მათი დაინტერესება, ინსტრუქტორების მომზადება და ჩართვა პროცესში. გამოთქვა სურვილი და იმედი რომ კოლეჯი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს იმაში, რომ სხვა კომპანიები კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთონ პროფესიული განათლების პროცესში. ასევე აღნიშნა, რომ სასრუველია დაწესებულებამ პოტენციურ სტუდენტებთან, და კომპანიებთან სწორად მიიტანოს ინფორმაცია მოკლევადიანი კურსებისა და გრძელვადიანი პროგრამების თაობაზე, სწორად განისაზღვროს მათი სამიზნე ჯგუფები. მოკლევადიან კურსები არის გადამზადების შესაძლებლობა ზრდასრული მოსახლეობისთვის.

თამარ ქიტიაშვილი დაინტერესდა, თუ გეგმავს კოლეჯი ახალი პროგრამების დამატებას იგივე სამშენებლო მიმართულებით.

დირექტორის განმარტებით დაწესებულება ეყრდნობა ბაზრის კვლევას. ეყრდნობიან როგორც დამფუძნებლის, ასევე სამშენებლო სექტორში მოქმედ სხვა კომპანიების ინფორმაციას ბიზნეს და სამშენებლო სექტორის მოთხოვნების შესახებ. ასევე, რა თქმა უნდა, ითვალისწინებენ სახელმწიფო პრიორიტეტებს.

თავმჯდომარე დაინტერესდა, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი ,,კონსტრუქტ2"-ის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 80-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი ,,კონსტრუქტ2"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 430035874) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი/კოლეჯი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 80-ით.

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის ტექნოლოგიები (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში (0712)	120	150	ქართული	80	ზესტაფონი, ნიკო ნიკოლაძის №28

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;
(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 18:10 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
თამარ ქიტიაშვილი

მდივანი
ლელა მაისურაძე